საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №44

ქ.თბილისი 23.07.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, სხდომის მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ გიორგობიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ანი წამალაშვილი - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიო ჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ზაზა რუხაძე - დაწესებულების ვიცე პრეზიდენტი ხარისხის მართვის საკითხებში; სამართლის, სოციალური მეცნეირებებისა და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანი;
ქეთევან ჯინჭარაძე - დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსი; სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
გია ლილუაშვილი - დაწესებულების პროფესორი;
რაულ აგიკიანი - დაწესებულების პროფესორი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი / წარმომადგენლები:
ნინო დობორჯგინიძე - დაწესებულების რექტორის მოადგილე;
ნინო ჟვანია - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დიმიტრი ჯაფარიძე - დაწესებულების ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მ.შ.;
მერაბ სვანაძე - დაწესებულების პროფესორი, მათემატიკოსი, მეც. დოქტორი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი / წარმომადგენლები:
თინათინ ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
ნანა შავთვალაძე - დაწესებულების ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
ნანა ფრუიძე - დაწესებულების ასოცირებული პროფესორი;
სოსო გოგლიძე -დაწესებულების პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში;
ჯონი მწარიაშვილი - დაწესებულების ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;
არჩილ ჯანგირაშვილი - დაწესებულების აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
გიორგი მათიაშვილი - დაწესებულების რექტორი;
ნიკოლოზ ფიცხელაური - დაწესებულების ფაკულტეტის დეკანი;
ნინო ბოჭორიშვილი - დაწესებულების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რომან შენგელია - დაწესებულების პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ვახტანგ ჟვანია
მაკა კარტოზია
თათია უბერი
დავით ელისაბედაშვილი
დავით მაისურაძე

გიორგი მახარობლიშვილი (ჩაერთო სკაიპით)
ნინო პოპიაშვილი
ხვთისო მამისმედიშვილი
გიორგი ქავთარაძე
თინათინ დავითაშვილი (ჩაერთო სკაიპით)
ვაჟა ტარიელაძე
ანი ბილანიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. სხდომის მდივნის ფუნქცია, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომის თავჯდომარის გადაწყვეტილებით, დაეკისრა საბჭოს წევრ - სალომე თოთიბაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა დააყენა ცენტრის თანამშრომელმა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საბჭოსათვის მიმართვის თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარემ დააკმაყოფილა ცენტრის თანამშრომლის შუამდგომლობა.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრომა დააყენა შუამდგომლობა „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა მომხდარიყო დღის წესრიგის მეორე საკითხად.

ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა „კომპიუტერული ინჟინერიისა (ძირითადი სპეციალობა)" და „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგების შედეგების განხილვის გადადების თაობაზე, პროგრამების ხელმძღვანელის საქართველოში არყოფნის გამო.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთი ინანაშვილმა ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება. 2019 წლის 17 ივლისს დაწესებულებამ ცენტრს წერილობით (წერილის №35/2963, 17/07/2019; ცენტრში რეგისტრაციის №960834, 17/07/2019) მიმართა, ზემოხსენებული პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგების შედეგების განხილვის გადადების შესახებ, სადაც დაწესებულება ითხოვს, რომ საკითხები განხილული იყოს 2019 წლის სექტემბერში. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების წესის მიხედვით ბრძანების გამოცემიდან 90 დღეში უნდა მოხდეს საკითხის საბჭოზე განხილვა. ბრძანება გამოიცა 29 მაისს, შესაბამისად, საკითხები უნდა იყოს განხილული 29 აგვისტომდე, ვინაიდან ადმინისტრაციული საქმისწარმოების ვადები სწორედ ამ დღეს მთავდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხსენებული საკითხები გადაიდოს 29 აგვისტომდე და დაამატა, რომ ოფიციალური წერილით მოიწერება დაახლოებით რა ვადა შეიძლება იყოს მისაღები დაწესებულებისთვის.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან უნდა იყოს შეთანხმებული სხდომის თარიღი, ასევე გასათვალისწინებელია ზაფხულის პერიოდი და საბჭოს წევრთა დასწრების შესაძლებლობა (ქვორუმის ნაწილში).

საბჭოს წევრებმა დააკმაყოფილეს დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა და დაამტკიცეს შეცვლილი **დღის წესრიგი:**

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
3. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი.

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხის დაწყების დრო: 16:19

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ წარმოადგინა ექსპერტთა დასკვნა. განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 17-18 ივნისს. მიზანი იყო „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. მათი შეფასებით ყველა სტანდარტი იყო შეესაბამისობაში. ასევე, წარმოადგინა ვიზიტის დროს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამიდან უნდა მოხდეს იმ საგნების ამოღება, რომელთა სწავლება რეალურად უნდა ხორციელდებოდეს ბაკალავრის საფეხურზე;
2. აუცილებელია მოხდეს სილაბუსების გადახედვა, განახლდეს და დაემატოს ლიტერატურა;
3. უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, კერძოდ წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, მათ შორის უცხოენოვანი წყაროების დამუშავებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე, წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს,

სამეცნიერო კვლევით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, პრობლემური საკითხების განხილვისთვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა/დაკონკრეტება, მათი ინტერესების გათვალისწინებით. აღსანიშნავია გამოყენებული ლიტერატურის, კერძოდ კი უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავების სიმწირე, რაც ენობრივ ბარიერზე მიუთითებს, ამ პრობლემის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს თუ უსდ უცხო ენის სერთიფიკატის რელევანტურობას განსაზღვრავს „სამართლის" სამაგისტრო პროგრამის მისაღებ გამოცდებზე. არსებული მდგომარეობით მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთათვის, რომელთა უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება მოხდება, არ არის განსაზღვრული B2 დონის სერტიფიკატთა ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და რომელიც უცილობლად დაადასტურებს ასეთი პირის მიერ B2 დონეზე ენის ფლობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დროს იკვეთებოდეს პროგრამის სუსტი მხარეები, რომელიც გახდება მსჯელობის და დისკუსიის საგანი სამომავლოდ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით (თვითშეფასების დოკუმენტის ძირითადი ფუნქციაც ეს არის).
2. პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, აუცილებელია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი იმავდროულად არ იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.
   - სასურველია პროგრამაში მითითებული საგნების დასახელებები ემთხვეოდეს სილაბუსების შინაარსს, სილაბუსების ნაწილი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შედარებით ანალიზს, ხოლო სათაური არ ასახავს ამ რეალობას.
   - მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს სრულფასოვნად შეეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ცოდნის მიღება, ამისათვის დამატებით საჭიროა გაცვლითი, 5 თუნდაც მოკლევადიანი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად იყოს უზრუნველყოფილი, სამართლის სამაგისტრო პროგრამის ყველა დარგის მიმართულებით. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა სტუდენტების სურვილი, მონაწილოება მიიღონ/მიეღოთ გაცვლით, თუნდაც მოკლევადიან, სასწავლო პროგრამებში. მნიშვნელოვანია აღნიშნული კომპონენტის გასააქტიურებლად უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორების და ფონდების შესახებ, აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია. ასევე, უკვე არსებული, ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველჰყოს სტუდენტის მხარდაჭერა, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, ამ კომპონენტში, განხორციელდეს რეალურად.

- სამაგისტრო ნაშრომების მაღალი ხარისხით დამუშავების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა სასურველია ჩამოაყალიბოს მიდგომა, რომლის თანახმად უნდა დაიხვეწოს აკადემიური წერის სტანდარტი და ამ მიზნით კარგი იქნება თუ დამატებით, ძირითად სასწავლო გეგმასთან, განისაზღვრვრება სალექციო კურსი, აკადემიურ წერა იურისტებისათვის, რომელსაც გაუძღვება იურიდიული განათლების მქონე პირი.
- ყველაფრის მიუხედევად გამოკითხვის შედეგებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი და მიმდინარეობა, ასევე სწავლების მეთოდები უმეტესწილად შეაფასეს ,,კარგი"-თ , თუმცა პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და პროგრამის როლი სტუდენტის კარიერული წინსვლის შესაძლებლობა ერთი საფეხურით ჩამოწეულია და მეტწილად შეფასებულია ,,საშუალო"-დ. როგორც ჩანს ამ კომპონენტში უსდ-ს მიერ შემუშავებული პროგრამის მიმდინარეობა და შედეგი არ არის რელევანტური და საჭიროებს გადახედვას და დამუშავებას. ი სტუდენტების მიერ ლექტორთა შეფასების სისტემა - სასურველია, სტუდენტების გამოკითხვა განხორციელდეს ფინალურ გამოცდებამდე, რათა მათ მიერ ჩამოყალიბებული შენიშვნები იყოს სამართლიანი და ობიექტური. მნიშვნელოვანია ერთიანად მოხდეს ინფორმაციის შეგროვება, რათა მიღებული უკუკავშირი იძლეოდეს სრულ ინფორმაციას. სასურველია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა ნათლად სტრუქტურირებული და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით იყოს განხორციელებული - წერილობითი ფორმით.

დაწესებულების წარმოამდგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და უპასუხა მათ გამოთქმულ მოსაზრებებს. მან აღნიშნა, რომ 2014 წლიდან კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა იყო სასწავლო პროგრამაში. უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით პროკურორებს გაესაუბრნენ და მათი მოსაზრებით, იმიტირებული პროცესის სასწავლო კურსი უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრზე, ხოლო კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამაგისტრო პროგრამაზე, ვინაიდან სამაგისტრო დონეზე უნდა შეძლოს სტუდენტმა სასამართლო გადაწყვეტილების დაწერა. საბაკალავრო დონეზე ეს ისწავლება თემატურად, კონკრეტულ დარგთან მიმართებით, ხოლო სამაგისტრო დონეზე კომპლექსულად, რადგან საჭიროებს დარგის მრავალმხრივ ანალიზს. ეს არის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების ინიციატივა. აქ არის საუბარი სასამართლო ამოცანის სწორად გადაწყვეტაზე, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის" სწავლება დაიწყო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და შემდეგ გადმოვიდა ქართველი და გერმანელი სპეციალისტების თანამშრომლობის შედეგად აკადემიურ სფეროში. შესაბამისად, ეს კიდევ უფრო მაღალი დონიდან დაწყებული ამბავია.

სტუდენტმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს მეთოდები ინტეგრირებული შესაძლებელია იყოს იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც უკვე არსებობს პროგრამაზე. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ დარგების მიხედვით ისწავლებოდეს სილაბუსებში. რა თქმა უნდა, გაღრმავება უნდა ხდებოდეს რასაც ითვალისწინებს სამაგისტრო საფეხური.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კაზუსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწავლების მეთოდია. პერსონალი ძირითადად პრაქტიკოსებისაგან შედგება, შესაბამისად, ამ მეთოდს დიდი ადგილი უჭირავს სწავლებაში. მეორე საკითხი, მუნიციპალური სამართალი ძირითადად რომ უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო დონეზე, ამაში ეთანხმებიან ექსპერტებს. თუმცა, რატომ არ უნდა გაღრმავდეს ის სამაგისტრო დონეზე? ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძალიან დიდი გამოწვევებია ამ სექტორში და მნიშვნელოვანია მუნიციპალური სამართლის სიღრმისეული სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს კურსი უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო დონეზეც, თუმცა პროგრამამ ასეთი გზა აირჩია, თუმა ეს კურსი ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლის განხრით საბაკალავრო დონეზეც იყო. ბაკალავრიატის დონე იყო ის დრო, რომლის დროსაც საბაზო კონცეფციებს უნდა გაეცნონ სტუდენტები. რა უნდა გააკეთოს სამაგისტრო დონეზე, აქ უკვე შეცვლილია მიდგომა, სტუდენტმა უნდა მოახერხოს კომპლექსური ანალიზი. ეს არის პრაქტიკული განხორციელება, ტექნიკური დეტალები და სამართლებრივი მხარე. ახლახან შემოიღეს პრინციპი ფინანსური გათანაბრების შესახებ, თუმცა ის ვერ მუშაობს, რადგან უდიდესი ნაწილი მაინც მოდის თბილისზე. მაგალითად, საკუთრების საკითხი, მხოლოდ მიწა რომ იყოს აღებული, მიწა მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, თუმცა მიწის რეფორმა არ დაწყებულა საქართველოში, შედეგად სახელმწიფომ არ იცის ვის რა გადასცეს. ამ დარგში შეუძლებელი იქნება ექსპერტის მომზადება თუ უნივერსიტეტმა არ დაუშვა მისი სწავლება სამაგისტრო დონეზეც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტებს ნამდვილად იცავდა ინსტიტუცია, თუმცა ყველა ნაშრომი, რა თქმა უნდა, არ იყო ისეთი როგორიც ხელმძღვანელობას უნდა. ამას გამოხატავდა შეფასებებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო მათი ნიშა, სამართლის შედეგების გარდა ინგლისურის ცოდნითაც ტოვებდნენ სტუდენტები უნივერსიტეტს. პროგრამაზე 4 ინგლისურენოვანი სამართლის სპეციალისტი მუშაობდა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა ძალიან კარგად იციან დარგობრივი ინგლისური და ძალიან კარგი პრაქტიკული უნარ-ჩვევები გააჩნიათ. პროგრამაზე მიღების გამოცხადების დროს მითითებული იყო, რომ თუ იმავე ინსტიტუციის კურსდამთავრებული მოდიოდნენ, მაშინ განისაზღვრებოდა ტესტირებით (50% მათივე საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულები აგრძელებენ). სხვა შემთხვევაში კი მითითებული იყო სერტიფიკატები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახორციელებდნენ ორი სკოლის მიერ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის ინგლისური ენის სწავლებას. ასევე, განმარტა, რომ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით პროგრამას ჰქონდა 26-მდე მემორანდუმი. ამ ეტაპზე არც ერთი კურსდამთავრებული სამართლის მიმართულებით არ იყო, თუმცა სხვა პროგრამების სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს წყვეტა იყო იმის გამო, რომ თავდაპირველად გაცვლითი პროგრამები გათვლილი იყო ამერიკულ პროგრამებზე, რომელიც სტუდენტებს ძვირი უჯდებოდათ. ამის შემდეგ დაიწყეს გადაწყობა ევროპის უნივერსიტეტების ბაზაზე, შესაბამისად, ეს პრიორიტეტების გადაწყობის შედეგად არსებული წყვეტა მომავალში ნამდვილად გამოსწორდება.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა მიმართა კითხვით პროგრამის წარმომადგენლებს. სასწავლო კურსში „თანამედროვე საკორპორაციო სამართალი" - სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტის მიერ გამოცემული, რომელიც მისივე სალექციო კონსპექტის პლაგიატი გახლდათ, ხოლო 80% იყო შეცდომა. შეეძლოთ მიეთითებინათ ჭანტურიას „კორპორაციული მართვა", რომელიც უფრო მეტად შეესაბამებოდა სავალდებულო ლიტერატურისთვის დადგენილ სტანდარტებს. თითქმის ყველგან მეორდებოდა „გერმანიის სავაჭრო კოდექსი" და „ავსტრალიიის კორპორაციის აქტი". გამომსვლელს აინტერესებდა, მეწარმე სუბიექტების დარეგისტრირების წესის განხილვისას რატომ იყო წარმოდგენილი ეს დოკუმენტები. გერმანული საკორპორაციო სამართალი ბაზირებული იყო თითოეული საკორპორაციო ფორმების ცალკე დოკუმენტებზე. რომელ კომპანიებზე იყო საუბარი? კიდევ ერთ სილაბუსში „კორპორაციული მართვა", კარუნა ამოსაღებია. შესავალი კორპორაციულ მართვაში 4 წიგნიდან 3 ნორმატიული აქტი იყო, ყველა

თემასთან დაკავშირებით მითითებულია თითქმის ერთი და იგივე კორპორაციული აქტი და ჯოს წიგნი კორპორაციულ მართვაში. მთლიანობაში, საკითხები კარგად არის დალაგებული. შესაბამისად, შეიძლება ეს ლიტერატურა აიტანონ მაღლა.

16:39 სხდომას შემოუერთდა თეა მჭედლური

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პლაგიატის შესახებ არ იყო მათთვის ცნობილი და შესაბამისად, ამოღებული იქნებოდა. რაც შეეხება, ამ აქტებს, ეს ამერიკის შტატებს ეხებოდა და ცალკეულ შტატებში სხვადასხვა კომპანიებზე საუბარობდა, ამ შემთხვევაში ის საერთო სამართლის სისტემას იყენებდა, რადგან სწორედ ამ დარგის მკვლევარი იყო. ამდენად, ამერიკული სამართალი არ არის მისთვის უცნობი. რაც შეეხება, ავსტრალიას, საინტერესო იყო ის, რომ საერთო სამართალთან მიმართებით აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც არ მიჰყვება ინგლისურ სამართალს. თუმცა შემდგომ, 1983 წელს, ასევე ავსტრალიამაც მიიღო გადაწყვეტილება რომ აღარ გაჰყოლოდა ინგლისურ სამართალს. ამდენად, ავსტრალიამ თავისებური გზა აირჩია, არის გარკვეული საკითხები, რომლებიც საინტერსო იქნება ამ თემასთან მიმართებით. გერმანიის კოდექსში ძირითადად ორ ფორმაზეა ყურადღება გამახვილებული, თუმცა იქ სხვა ფორმებიც არსებობს, რომლებზეც შეიძლება საუბარი. რეგისტრაციასთან მიმართებითაც იყო წარმოდგენილი გარკვეული საკითხები. რა თქმა უნდა, ბევრი არა, თუმცა ცოტაც საკმარისია.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ ურჩიათ სისხლის სამართლის მოდულთან დაკავშირებით, რომ კარგი იქნებოდა ისეთი სასწავლო კურსები დამატებულიყო, როგორებიცაა დანაშაულის შესახებ მოძღვრება, დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები. პროგრამაზე იყო ბატონი ბესო, რომელსაც შეეძლო გასძღოლოდა ამ კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სისხლის სამართალთან მიმართებაში დეტალურ პასუხს ვერ გასცემდნენ, რადგან არ იყვნენ სპეციალისტები. მოდულში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპეციალისტები, ყველაფერი დარგის სპეციალისტებთან ერთად იქნა გავლილი. ასეთი, არჩევითი კურსები ბევრია შეთავაზებული სტუდენტებისთვის. წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და აღნიშნა, რომ ყოველთვის შეიძლებოდა გამოჩენილიყო სხვადასხვა მოსაზრებები. ასევე, აღნიშნა, რომ ბატონი ბესოს ინიციატივა იყო დამატებულიყო „პრაქტიკული კურსი სისხლის სამართალში“.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 17:09 საათზე.
სხდომა განახლდა: 17:31 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „სამართალი"
საფეხური - მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის მაგისტრი (0421)
მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მათემატიკის დოქტორი 0541
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. საკითხის განხილვაზე თვითაცილება საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 3 ივლისს განახორციელეს ვიზიტი. პროგრამა არის ახალი, ხორციელდება ბიზნესის,

ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე. პროგრამა მოამზადებს კურსდამთავრებულებს მათემატიკის 6 მიმართულებიდან. მათ გააჩნიათ კვლევის დიდი გამოცდილება. დოქტორანტურა პირველი 5 წლის განმავლობაში არის უფასო. დოქტორანტებს დაწესებული აქვთ გონივრული ნიშნულები აკადემიური მოსწრების მხრივ, რომლებიც სავალდებულოა, რომ მათ გააგრძელონ პირველი წლის შემდეგ უფასო სწავლა. ფასიანია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. პროგრამა ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. დოქტორანტებს წაყენებული აქვთ მოთხოვნები, რომ ჰქონდეთ წარდგენილი ორი კვლევითი ნაშრომი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. უნივერსიტეტი იყენებს შესაბამის პლაგიატის სისტემებს. პროგრამა ჩართულია კარლ ფრიდრიხ-ის საერთაშორისო სადოქტორო სკოლაში, რომელიც აძლევს დოქტორანტებს საშუალებას ჰყავდეთ საერთაშორისო თანახელმძღვანელი ორმაგი სადოქტორო პროგრამების ფარგლებში. ჯამში პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან. მხოლოდ **ერთი რეკომენდაცია აქვთ ექსპერტებს,** რომელიც ეხება 2.5 ქვესტანდარტს:

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სადოქტორო სემინარები მოიცავს დოქტორანტის რეგულარულ შეხვედრებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, რაც უზრუნველყოფს რეგულარული უკუკავშირის მიღებას პროსპექტუსის პროგრესთან დაკავშირებით. სადოქტორო სემინარის (I და II) კონცეფციებში, შეფასების წესებში წერია, რომ „დოქტორანტმა შესაძლებელია სადოქტორო სემინარი გაიაროს online-რეჟიმში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ იმყოფება საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ან მისი ხელმძღვანელი იმყოფება საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტის ან სტაჟირების ფარგლებში. ამ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია განცხადებით გააფრთხილოს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომელსაც თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სადოქტორო სემინარის გეგმა. გეგმაში დამატებითად უნდა იყოს მითითებული სემინარების განრიგი და დაკავშირების საშულება (skype ან სხვა). Online - რეჟიმში სწავლების შემთხვევაში პროსპექტუსის შუალედური ანგარიშების ატვირთვა ხდება moodle-ის სისტემაში."

ასეთი შემთხვევა შესაბამისად კი არის დაგეგმილი, მაგრამ ვთვლით, რომ ეს წარმოადგენს ელექტრონულ სწავლებას უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით. მართლაც, კანონში გვ. 2-ზე[1] ვკითხულობთ, რომ „ელექტრონული სწავლება არის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ყოფნას." ამავე, კანონში (გვ. 44, მუხლი 474, პუნქტი 4) ნათქვამია, რომ „ელექტრონული სწავლების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში." ამრიგად, ელექტრონული სწავლება დასაშვები არ არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, 1 სემესტრიანი და 6 კრედიტიანი ორივე სადოქტორო სემინარის კონცეფციაში შეფასების წესები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ არ დაირღვეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ზემოხსენებული პუნქტები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვაჟა ტარიელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ნამდვილად მისასალმებელი იყო. ხელმძღვანელი გიორგი ხიმშიაშვილი გახლდათ მისი კოლეგა, ვიზიტზე კონკრეტული განხილვები იყო და სწორედ კონკრეტული პასუხები მიიღეს.

[1] (https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75, #688)

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ სადოქტორო პროგრამას სჭირდებოდა რეალურად, ასეთი სახის სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ხორციელდებოდა კვლევითი ინსტიტუტის დონეზე. უნივერსიტეტს ორიენტირი ჰქონდა სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაციისაკენ, შესაბამისად, ორმაგ ხარისხებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მიუნსტერის უნივერსიტეტთან. ეს პროგრამა ხდება საერთაშრისო. სკოლის ნაწილი და პროგრამის ყველა კომპონენტი ინტეგრირებული იქნებოდა ამ სკოლაში. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, არ იგულისხმება, რომ მთლიანად 6 კრედიტის მოცულობის სამუშაოები სრულდება ონლაინ რეჟიმში. დოქტორანტის საზღვარგარეთ ყოფნის შემთხვევაში მისი ინდივიდუალური გეგმიდან გამომდინარე მას ესაჭიროებოდა კონსულტაცია და ეს შესაძლებელია მომხდარიყო ონლაინ. იმას, რომ ეს არ იყო ონლაინ სწავლება ადასტურებდა საკონტაქტო საათების არსებობა პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებდა ჩვეულებრივ Face-to-face შეხვედრებს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით გაკეთდა ზუსტი ჩანაწერი, თუ რა პირობებშია შესაძლებელი ასეთი კონსულტაციების ჩატარება.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა იგულისხმებოდა, თუ არა სემინარის ან კოლოქვიუმის ჩაბარება მაგალითად „სკაიპით"? რა აქტივობა ხორციელდებოდა ელექტრონულად?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები გამოცდებს არ აბარებდნენ სკაიპით. რომელ ეტაპზე რა სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ეს ხელმძღვანელთან თანხმდებოდა ინდივიდუალურად. მათ შორის არის კონსულტაციები ხელმძღვანელთან და თანა-ხელმძღვანელთან. გათვლა არ არის იმაზე, რომ მთელი სემეტრით შესაძლებელია წავიდნენ. არამედ ერთ ან/და ორ-კვირიან ვიზიტებს ვგულისხმობთ.

დაწესებულების წარომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არ ეხებოდა მხოლოდ დოქტორანტს, პროფესორებიც სემესტრის განმავლობაში სულ ცოტა 2 კვირით იყვნენ უცხოეთში, ეს ნიშნავს, რომ მაშინ პროგრამაში მაღალი დონის მეცნიერები ვერ უნდა ჩაერთონ. დოქტორანტს ჰქონდა უფლება მიეღო კონსულტაციები საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, მაშინაც კი, როდესაც იქ ჩატარებოდა კვლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ აგუმენტებისა, ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა დეკლარირებულ დოკუმენტს, კანონს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეასწორებენ ჩანაწერს, თუმცა არც ერთი ჩანაწერი არ კრძალავდა კონსულტაციას ონლაინ რეჟიმში. თუმცა, ამის მიუხედავდ ამოიღებდნენ ჩანაწერს.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ მიმართა კითხვით, ხომ არ ჯობდა შეთავაზებულიყო კვლევის თანამედროვე მეთოდების ან სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსები. გამომდინარე იქიდან, რომ ასისტირება უკვე წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდები წარმოდგენილია სავალდებულო კურსად, რომელშიც ასევე აღნიშნულია ელექტრონული სწავლების მეთოდები. ასისტირების კომპონენტს ვერ შეცვლიდა, რადგან სწავლების მეთოდების გარეშე ისინი ვერ დაიწყებდნენ ასისტირებას.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ ექსპერტებს მიმართა აფილირებული პროფესორების რაოდენობა იყო თუ არა საკმარისი, დღესდღეობით არის ხუთი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვაჟა ტარიელაძემ აღნიშნა, რომ სულ პროგრამა აპირებდა დაახლოებით 5 სტუდენტის მიღებას, შესაბამისად, საკმარისია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 5 მათემატიკოსი იყო ჩართული სხვადასხვა მიმართულებიდან. მნიშვნელოვანი იყო აკადემიური რესურსი ასევე, თანახელმძღვანელობის ნაწილში.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ არის 9 არჩევითი საგანი, ყველა არის 6 კრედიტიანი. დაინტერესდა, თუ რამდენ საგანს იღებს სტუდენტი?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი იღებდა მხოლოდ იმ კურსებს რომლებიც საჭიროა მისი კვლევის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა მიმართა კითხვით, თუ როგორ ხდებოდა ნაშრომის დაცვა?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭო გამოყოფდა სადისერტაციო საბჭოს. ბარდებოდა სადოქტორო კოლოქვიუმები. პროცედურა გაწერილი იყო კანონის მიხედვით, დგება დარგობრივი კომისია, ხელმძღვანელი და დოქტორანტი ანგარიშვალდებულნი იყვნენ დარგობრივ საბჭოსთან, როდესაც უკვე დაცვისკენ მიდის დოქტორანტი და მას აქვს შესრულებული ყველა მოთხოვნა, მათ შორის ორი გამოქვეყნებული სტატია. შემდეგ უკვე ჩვეულებრივი დაცვა ხდება.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დასვა კითხვა სადისერტაციო საბჭოს, დარგობრივ კოლეგიას მხოლოდ არსებული პერსონალით ადგენთ თუ ხდება მოწვევა? ასისტირების წინაპირობა არის სწავლების თანამედროვე მეთოდები, ეს საგანი სავალდებულოა? თუ არ არის სავალებულო მაშინ წინაპირობა ვერ იქნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს კურსი ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო, არამედ არჩევითია. შესაბამისად, წინაპირობაც არ არსებობდა. ასისტირების წინაპირობა არ იყო. ხშირად მოდიოდნენ სტუდენტები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ სწავლების გამოცდილება ხოლო თუ სჭირდებოდათ ასისტირება, ამ შემთხვევაში გადიოდნენ ამ ორივე კურსს.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა მიმართა კითხვით, ასეთ შემთხვევაში თუ თქვენი თანამშრომელია, რომელიც დოქტორანტიცაა, მაშინ როგორ ხდება ასისტირება?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასისტირების დებულებაში ყველაფერი გაწერილი იყო ყველა გარემოებაში. თუ მოწვეული ლექტორი ატარებდა ლექციას, მაშინ ეს საათები ასისტირებაში არ იგულისხმებოდა.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ სემინარს, რომელსაც გადის დოქტორანტი ლიტერატურა არ ჰქონდა მითითებული. დაინტერესდა, თუ როგორ ხდება სემინარის საკითხების წინასწარ მომზადება, გაწერა?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სემინარის დანართებში არის ფორმა, სადაც თვითონ დოქტორანტი და ხელმძღვანელი გეგმავენ რა უნდა გააკეთონ. ეს არის ინდივიდუალური და ამის საშუალებით ყველასთან პერსონალური გეგმა იქმნება.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა, სტუდენტი სანამ პროგრამაზე ჩააბარებდა სავალდებულო იყო თუ არა წინასწარ ხელმძღვანელის არჩევა?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიახ ხდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რაიმეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:03 საათზე.
სხდომა განახლდა: 18:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - „მათემატიკა"
საფეხური - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მათემატიკის დოქტორი (0541)
მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

3. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში 0603
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. საკითხის განხილვაზე თვითაცილება საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი გიორგი მახარობლიშვილი აღნიშნავს, რომ კერძო სამართლის პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე გამონაკლისია. 120 კრედიტის ფარგლებში ბიზნეს სამართლის მიმართულებით კურსდამთავრებულის გამოშვების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს. პირობითი აკრედიტაცია ჰქონდა მიცემული და დაწესებულება ორიენტირებული იყო წინა საექსპერტო დასკვნის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. ინსტიტუციას სამაგისტრო ნაშრომების მაგალითზე გარკვეული ჩარჩო აქვს მომზადებული. დანარჩენი მიმართულებით პირველი სტანდარტიდან გამომდინარეობდა სწავლის მიზნებისა და შედეგების ურთიერთგადაფარვა და მისი შესაბამისობა დარგობრივ მახასიათებელთან. მეხუთე სტანდარტიდან გამომდინარე, იყო რადიკალური პოზიტიური ცვლილება, გარემოებები შეცვლილია, თუმცა ეს ცვლილებები სრულფასოვნად საკმარისი არ არის. პროგრამა შესაბამისია დარგობრივ მახასიათებლებთან, რეკომენდაციისა და რჩევის დონეზე გამოიხატა შესაბამისი მოსაზრებები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით მაისურაძემ აღნიშნა, რომ გაამახვილებდა სამ ძირითად საკითხზე ყურადღებას. ესენი იყო სწავლის მიზნები და შედეგები, სამაგისტრო ნაშრომები, სილაბუსები. სილაბუსებთან დაკავშირებით, სასურველი იყო, რომ იგი განსხვავებული ცოდნის მიცემის შესაძლებლობას იძლეოდეს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი შეიცვალა, ახალი საგნები დაემატა (მაგ. საერთაშორისო სავაჭრო სამართალი), მოიწვიეს ახალი პერსონალი, პლაგიატის პროგამა დაინერგა, საერთაშორისო კონფერენციას გაუწიეს ორგანიზება. უფრო მეტ დროში სამაგისტრო ნაშრომებისთვის მეტად შეიძლებოდა ცვლილებების უკეთესად წარმოდგენა. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ 1 წლის თავზე მისვლის შემთხვევაში უფრო მეტად დაინახავდნენ შედეგს.

წარმოდგენილ იქნა ქსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული **რეკომენდაციები:**

- პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია უსდ-მა სხვადასხვა მიმართულებები გააძლიეროს. მაგალითად, აუცილებელია დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირი და შედეგები გახდეს უფრო მიღწევადი და რეალისტური;
- მნიშვნელოვანია საგნების და პროგრამის მიზნები დაფუძნდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე;
- პროგრამის მიზნები უნდა იყოს გასაგებად და ზუსტად ფორმულირებული;
- პროგრამის მიზნები უნდა იყოს დასაბუთებული და გაანალიზებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
- პროგრამის მიზნები უნდა იყოს კავშირში სწავლის შედეგებთან და იყოს რეალისტური და მიღწევადი;
- სასურველია, დაკონკრეტდეს, ბაზირებულ იქნეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე და ისე იქნეს გაწერილი კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგები უნდა გამომდინარეობდეს და საბუთდებოდეს სხვადასხვა

დოკუმეტებიდან, მათ შორის შრომითი ბაზრის მოთხოვნებიდან;

- აუცილებელია საგნების სილაბუსების გადახალისება, იმისათვის, რომ უკეთესად შეესაბამებოდეს სწავლის მიზნებს და შედეგებს;
- შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსი არის გასაახლებელი;
- სასურველია, დაკონკრეტდეს უცხო ენათა ჩამონათვალი, განისაზღვროს B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს ათავისუფლებას გამოცდის ჩაბარებისაგან და გაიწეროს ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პირის უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება;
- პროგრამის შემადგენელი სასაწვლო კურსები გადასახედია, როგორც შინაარსობრივად ასევე მიზნობრივად, ანუ პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით: უნდა მოხდეს კონკრეტული საგნების ინტეგრირება ან/და მოდიფიცირება ისე, რომ პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა დაკონკრეტდეს, იყოს ხელმისაწვდომი და უნდა პასუხობდეს პროგრამის შინაარსის დაძლევისათვის საჭირო კრიტერიუმებს;
- პროგრამის სწავლის შედეგები დასაკონკრეტებელია, არ უნდა იყოს პირდაპირ გადმოტანილი დარგობრივი მახასიათებლიდან;
- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად პასუხობს წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსს, თუმცა, გვხვდება ისეთი დონის ხარვეზებიც, როგორც შედარებითი საკორპორაციო სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსშია მოცემულია. სასურველია, ის მოდიფიცირებულ იქნეს;
- სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი), სასურველია, გაწერილ იქნეს მხოლოდ სასწავლო კომპონენტების მიმართ და არა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიმართ;
- უნდა დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართების დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- რამდენიმე სასწავლო კურსი მოითხოვს იმგვარად მოდიფიცირებას, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საფეხურის დონესთან. მაგალითად, სასწავლო კურსი „მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები"თავისი შინაარსით, არის ბაკალავრიატის დონის, რომელიც სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნაწილში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა, მაგისტრატურის მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ორ ისეთ საგანს, როგორიც შედარებითი ვალდებულებითი სამართალი და შედარებითი სანივთო სამართალი, აბსოლუტურად თავისუფლად შეიძლებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების ინტეგრირება, შესაბამის კურსებში და მისი შედარებით კონტექსტში შესწავლა. ასევე, სასწავლო კურსი „ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში" არსებითად მოითხოვს დახვეწას როგორც საგანანმანათლებლო საფეხურის დონის მიხედვით (ის ბაკალავრიატის დონეზე ისედაც ისწავლება (ინტეგრირებულია კერძოსამართლებრივ სასწავლო კურსებში), ისე შინაარსობრივი თემატიკის მიხედვით: აქ, სასურველია, იყოს უფრო შედარებითი კურსი წარმოდგენილი;
- უსდ-ს კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. სასურველია, სტუდენტის აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით განხორციელდეს ეს უკანასკნელი, ასევე, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ნაშრომის წერა უკვე არსებული/დამტკიცებული ე.წ. ნიმუშის გამოყენებით არ დაემსგავსოს აუცილებლ/სავალდებულო გამოსაყენებელ შაბლონს, რომელიც რიგ შემთხვევებში

შესაძლოა არ იყოს რელევანტური, საკვლევი თემის არსის, შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით;

- უსდ-მ უნდა წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა. მნიშვნელოვანია დაიგეგმოს პრობლემური საკითხების განხილვისათვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა/დაკონკრეტება, საკითხის აქტუალობისა და კურსით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით;
- აუცილებელია, სასწავლო უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის მიხედვითაც უფრო მეტი აკადემიური/მოწვეული პერსონალი მიიღებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და აღნიშნულ აქტივობებს ექნება სისტემატიური ხასიათი; ამისათვის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა, გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი და შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვროს აფილირებული პერსონალისთვის ანაზღაურებადი აქტივობების ჩამონათვალი; ამასთან ამ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის პირობითი სამიზნე ნიშნულები წლის მიხედვით;
- აუცილებელია დაინტერესებულ პირთა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში მეტი, ფართო და უშუალო ჩართულობა;
- აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დრო იკვეთებოდეს სუსტი მხარეები, ის ხდებოდეს მსჯელობის საგანი სამომავლო გაუმჯობესების მიზნით. მოცემული პროცესი უნდა აისახოს თვითშეფასების ანგარიშში შეძლებისდაგვარად ზუსტად;
- პროგრამის მონიტორინგის კუთხით არ განხორციელებულა მისი უცხო პროგრამასთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. სასურველია, რომ აღნიშნული პროცესი იმ კომპლექსური მექანიზმების პარალელურად სრულდებოდეს, რომელიც ხორციელდება ხარისხის შიდა და გარე შეფასების სხვა მექანიზმების ერთობლიობით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბრმა აღნიშნა, რომ თუნდაც ის, რომ სამაგისტრო დებულებაში ცვლილებები შევიდა. დაინახეს, რომ უნივერსიტეტმა დასახა გარკვეული განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად ყველა რეკომენდაცია რჩევა იქნა გათვალისწინებული წინა გადაწყვეტილების შემდეგ, პროგრამის მხრიდან მაქსიმუმი გაკეთდა. პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც დასკვნის დადებისთანავე დაიწყო მუშაობა, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ისე პროფესორები. უფრო მეტად კონკრეტიკის შესახებ კითხვების შემთხვევაში ისაუბრებდნენ.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა გამოხატა საკუთარი შთაბეჭდილება პროგრამის შესახებ, რომ ძალიან ბევრი რეკომენდაცია იქნა მიცემული. რაც დაინახა საბჭომ იყო ის, რომ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ რას აკეთებდნენ და მზაობა ჩანდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე რჩევა გააჩნდა. „შედარებითი სანივთო სამართალი" - სავალდებულო ლიტერატურაში არის ისეთი წიგნი (ზარანდია, შოთაძის „სანივთო სამართალი"), რომლითაც ისწავლება საბაკალავრო დონეზე. შესაძლებელია, ეს წიგნები ჩაეტანათ საბაკალავრო დონეზე. „შედარებითი საკორპორაციო სამართალი" - ეს საგანი თუ კი უნდა ისწავლებოდეს, მაშინ შინაარსი უნდა ყოფილიყო შეცვლილი, რადგან ეს არის „კორპორაციული მართვის სამართალი". სავალდებულო არ იყო და უმჯობესია, შეუცვალონ სახელწოდება და დაარქვან „საწარმოს კონტროლის სამართალი" ან „კორპორაციის მართვის სამართალი". აქვე, აღნიშნა

რომ, კარუნას წიგნი „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ პლაგიატია და ამოღებულ უნდა იქნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს წიგნი ამოიღეს. გაითვალისწინებენ აღნიშნულ რჩევასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რაიმეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:29 საათზე.
სხდომა განახლდა: 18:35 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

რეკომენდაციები:

1.პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია უსდ-მა სხვადასხვა მიმართულებები გააძლიეროს. მაგალითად, აუცილებელია დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირი და შედეგები გახდეს უფრო მიღწევადი და რეალისტური, დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
2.სასურველია, დაკონკრეტდეს, გაზირებულ იქნეს სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე და ისე იქნეს გაწერილი კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
3.სასურველია, დაკონკრეტდეს უცხო ენათა ჩამონათვალი, განისაზღვროს B2 დონის სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელიც პირს ათავისუფლებას გამოცდის ჩაბარებისაგან და გაიწეროს ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პირის უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება;
4.პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა დაკონკრეტდეს, იყოს ხელმისაწვდომი და უნდა პასუხობდეს პროგრამის შინაარსის დაძლევისათვის საჭირო კრიტერიუმებს;
5.სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი), სასურველია, გაწერილ იქნეს მხოლოდ სასწავლო კომპონენტების მიმართ და არა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიმართ;
6.რამდენიმე სასწავლო კურსი მოითხოვს იმგვარად მოდიფიცირებას, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საფეხურის დონესთან. მაგალითად, სასწავლო კურსი „მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები“თავისი შინაარსით, არის ბაკალავრიატის დონის, რომელიც სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნაწილში უნდა იქნეს შესწავლილი. თუმცა, მაგისტრატურის მოცემული პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ორ ისეთ საგანს, როგორიც შედარებითი ვალდებულებითი სამართალი და შედარებითი სანივთო სამართალი, აბსოლუტურად თავისუფლად შეიძლებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების ინტეგრირება, შესაბამის კურსებში და მისი შედარებით კონტექსტში შესწავლა. ასევე, სასწავლო კურსი „ვადები და მათი მნიშვნელობა კერძო სამართალში“ არსებითად მოითხოვს დახვეწას როგორც საგანანმანათლებლო საფეხურის დონის მიხედვით (ის ბაკალავრიატის დონეზე ისედაც ისწავლება (ინტეგრირებულია კერძოსამართლებრივ სასწავლო კურსებში), ისე შინაარსობრივი თემატიკის მიხედვით: აქ, სასურველია, იყოს უფრო შედარებითი კურსი წარმოდგენილი; შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსი არის გასაახლებელი;
7.აუცილებელია, სასწავლო უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის

მიხედვითაც უფრო მეტი აკადემიური/მოწვეული პერსონალი მიიღებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და აღნიშნულ აქტივობებს ექნება სისტემატიური ხასიათი; ამისათვის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა, გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი და შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვროს აფილირებული პერსონალისთვის ანაზღაურებადი აქტივობების ჩამონათვალი; ამასთან ამ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის პირობითი სამიზნე ნიშნულები წლის მიხედვით;
8.აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დრო იკვეთებოდეს სუსტი მხარეები, ის ხდებოდეს მსჯელობის საგანი სამომავლო გაუმჯობესების მიზნით. მოცემული პროცესი უნდა აისახოს თვითშეფასების ანგარიშში შეძლებისდაგვარად ზუსტად;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - „კერძო სამართალი"
საფეხური - მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში (0603)
მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

4. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ქართული ფილოლოგიის მაგისტრი 100501
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერეტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა განაცხადა, რომ გაეცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2017 წლის დასკვნას, ასევე შეისწავლეს პროგრამის დოკუმენტაცია და შეაფასეს 1 და 2 სტანდარტები და 4.1 კომპონენტი. პირველი სტანდარტი შეფასებულია სრულად, მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია, 4.1 სრულ შესაბამისობაშია. ასევე წარმოადგინა ჯგუდის მიერ შემუშავებული **რეკომენდაციები:**

1. თუ დაწესებულებას აქვს რაიმე სახის რეგულაცია, სადაც განსაზღვრულია საგნების სილაბუსების ავტორებისა და კურატორების უფლება-მოვალეობები, უნდა იყოს წარმოდგენილი დებულების ან შიდა რეგულაციის სახით პროგრამის აკრედიტაციისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად, ხოლო სილაბუსებში სავალდებულოდ უნდა იყოს მითითებული საგნის ავტორი. თუ დაწესებულებისათვის კურატორის მითითება სილაბუსში სავალდებულო რულაციაა, შესაძლებელია, მითითებული იყოს კურატორიც, ავტორის შემდეგ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებისთვის წარმოდგენილ ყველა სილაბუსში მითითებული არის მხოლოდ საგნის კურატორის სახელი და გვარი და არა სილაბუსის ავტორის ვინაობა. მიგვაჩნია, რომ სილაბუსის თავფურცელზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული იმ პროფესორის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, ვინც შეადგინა სილაბუსი და ვინც კითხულობს ლექციების კურსს კონკრეტულ საგანში.
2. საგნის: „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება". ძირითად ლიტერატურაში არ გვხვდება ამ საგნისთვის ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცემა, როგორიც არის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება", ტ. I, ტ. II, ტ. III (ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის, საქართველო სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961; 1964; 1967). მიზანშეწონილია აღნიშნული გამოცემის შეტანა საგნის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ჩვენი რეკომენდაცია და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ის ამზადებს ქსენია სიხარულიძის წიგნის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" სამტომეულის ქსეროასლს, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. რაც შეეხება მირჩაელიადეს წიგნს „მარადიული დაბრუნების მითი" (არქეტიპები და განმეორებადობა, გამომცემლობა „ალეფი", თბილისი, 2017) რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გაშუქებულია მითისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხი, გათვალისწინებულია შენიშვნა და უკვე შეტანილია სილაბუსში.
3. მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს მიგვაჩნდა, რომ აუცილებელი იყო საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია და ფოლკლორისა" და სამაგისტრო

პროგრამაში შეტანილი კურსის „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერების“ სახელწოდებების დიფერენცირება, რათა არ მომხდარიყო საგნის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო საკითხების გადაფარვა და დუბლირება. აქედან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფი ურჩევდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომ საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს შეესწავლათ „ქართული ფოლკლორი“, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“. თუმცა იგი ამ ცვლილების წინააღმდეგია. შეიძლება ნაწილობრივ გავიზიაროთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია და ამ ორი სილაბუსის სახელწოდება დავტოვოთ უცვლელი, რადგან, როგორც შეგვატყობინეს, ეს ორი სილაბუსი ეკუთვნის სხვადასხვა ავტორს და, შესაბამისად, არ მოხდება საგნის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო საკითხების გადაფარვა და დუბლირება.

4. 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია: საგნების (XX-XXI საუკუნეების მიჯნის ლიტერატურა; რომელიმე სალიტერატურო კურსი კლასიკური - ბერძნულ-ბიზანტიური მიმართულებიდან) სამაგისტრო პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს საკუთარი არგუმენტები. შესაბამისად, აღნიშნიული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. ჩვენი საექსპერტო ჯგუფის აზრით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა ფილოლოგიის დარგის კომპეტენციების შესაძენად.

5. მიზანშეწონილია, საგანში „აკადემიური წერა და კვლევა“ ასახული იყოს პლაგიატისა და სამეცნიერო ეთიკის საკითხები, ასევე, ციტირების სტილები და ლიტერატურის დამოწმების წესები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ჩვენი რეკომენაცია.

6. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ნაწილი სავარაუდოდ წარმოადგენს სილაბუსის ავტორის/კურატორის მიერ შედგენილ სხვადასხვა ავტორის წიგნებიდან ამოკრებილი მასალების: სტატიების, მონოგრაფიების თავების, შრომათა ნაწილების, ერთობლიობას. აღნიშნული მასალა კი სილაბუსებში და საუნივერსიტეტო ქსელში შესულია სილაბუსის ავტორის/კურატორის სახელით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტუდენტები იღებენ მცდარ ინფორმაციას საგნის სავალდებულო ლიტერატურის ავტორის/ავტორების შესახებ. ჩვენი აზრით, უთუოდ დასაფასებელია სილაბუსის ავტორის და/ან კურატორის შრომა, თავი მოუყაროს ამა თუ იმ კონკრეტულ საგანში/საკითხზე არსებულ ძირითად სამეცნიერო და სასწავლო მასალას, შექმნას ბეჭდური და ელექტრონული რიდერი, თუმცა მიზანშეწონილია, შეკრებილი სასწავლო მასალა სილაბუსში მითითებული იყოს ორიგინალური ფორმით, იმ ავტორთა მიხედვით, ვისი ნაშრომებიც წარმოადგენს სასწავლო სავალდებულო მასალას. დამატებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს მიგვაჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტები არ არის საკმარისი და სილაბუსში მითითებული იმ ძირითადი ლიტერატურის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სილაბუსის ავტორის / კურატორის მიერ შედგენილ სხვადასხვა ავტორის წიგნებიდან ამოკრებილი მასალების: სტატიების, მონოგრაფიებისთავების, შრომათანაწილების, ერთობლიობას, არ უნდა შევიდეს სილაბუსებში და საუნივერსიტეტო ქსელში სილაბუსი სავტორის/კურატორის სახელით. მას აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ იგი წარმოადგენს კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილ სამეცნიერო სტატიების ან შრომების კრებულს და არა სილაბუსის კურატორის საავტორო ნაშრომს.

7. ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაა გამოცდა ინგლისურ ენაში (წერითი). სავალდებულო საგანში: „ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები (მე-20 საუკუნე)“სავალდებულო ლიტერატურაში შეტანილია რუსულენოვანი მასალა: Билалова. Д. Заимствованные словообразовательные элементы в Башкирском и Англиискомязыках.ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს ტექნიკურ შეცდომასთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია გასწორდეს სილაბუსი ტექნიკური შეცდომების თვალსაზრისითაც. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

8. მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე არსებობდეს პრაქტიკა, როგორც ენათმეცნიერების, ისე ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. პრაქტიკა ხელს შეუწყობს მაგისტრანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების უკეთესად განვითარებას. აღნიშნულ რეკომენდაციას არ იზიარებს საქართველოს უნივერსიტეტი. დამატებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტები მიზანშეწონილად ვთვლით, რომ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე არსებობდეს პრაქტიკა, როგორც ენათმეცნიერების, ისე ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით, რადგან პრაქტიკა ხელს შეუწყობს მაგისტრანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების უკეთესად განვითარებას. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ მხოლოდ საველე პრაქტიკას კონკრეტულად ფოლკლორისტის ან კავკასიოლოგის მოსამზადებლად. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფილოლოგიური პრაქტიკა(ხელნაწერთაინსტიტუტში, მუზეუმში, სასწავლოლინგვისტურ-დიალექტოლოგიურიდაა. შ.)

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს, დაინტერესდა წინა ექსპერტთა დასკვნის შემდეგ პროგრამა რამდენად პროგრესირებადი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ საგნის სილაბუსებში აღნიშნული კურატორებისა და რიდერების საკითხი აქტუალური იყო. არგუმენტირებულ პასუხში ჩანდა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი გათვალისწინებული ჰქონდათ. საგნები, რომლებიც ჩაითვალა სავალდებულოდ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაწესებულებამ მიზანშეწონილად ჩათვალა მათი დამატება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „20-21 საუკუნეების მიჯრის ლიტერატურის პროცესი", სილაბუსი დამუშავების ფაზაშია და წარმოდგენილია სამუშაო ვერსია. მიზნებიდან გამომდინარე აუცილებლად არ მიიჩნეოდა ეს რეკომენდაცია, თუმცა ექსპერტთა პოზიცია პრინციპული აღმოჩნდა და ქართულ-ბიზანტიური ურთიერთოების სილაბუსს მოამზადებს ნათია ჩოკორაია. რაც შეეხებოდა კურატორებს, სილაბუსებში ლექტორისა და შემდგენლების გვარის მიხედვით მითითება სტუდენტებს უადვილებდა მათ მოძებნასა და გათვიცნობიერებას. თუმცა კატალოგში მითითებული იყო ყველა თემის მიხედვით ნაშრომების ავტორების სახელები. 2017 წელს მოსულ კომისიასაც განემარტა, რომ ისინი ზრდიან ქართული ენისა და ფილოლოგიის სპეციალისტებს, რომელთათვისაც საჭირო არ იყო პრაქტიკის გავლა. ასევე ქართულ საგნმანათლებლო სივრცეში არც ერთ პროგრამას არ ჰქონდა გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკა. პრაქტიკული სამეცნიერო და კვლევითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად არსებობდა სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც წარმოდგენილია 30 კრედიტის სახით. რუსულენოვანი რესურსები უკვე დამატებით მასალაში იყო მითითებული. მემორანდუმის ფარგლებში ყველა თარგმნილი ლიტერატურა მიეწოდებოდა პროგრამას ინტენსიურად ირმა რატიანის ინსტიტუტიდან. ჩასწორებული ფორმით წარედგინა, სადაც მიღების წინაპირობა გაზიარებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ 2017 წელს არ ყოფილა ასეთი რჩევა წინა საფეხურის განათლებასთან დაკავშირებით, ეს 2019 წლის ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა და შევიდა ცვლილება. მხოლოდ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებში ბაკალავრ დამთავრებულებს შეეძლებათ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.

სანჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა მიმართა კითხვით, დაკონკრეტებული იყო თუ არა, რომ ეს არის რიდერი?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი არ განხორციელებულა, მხოლოდ დოკუმენტაცია შემოწმდა, შესაბამისად სილაბუსები შემოწმდა. საჭიროა მათი სწორი ფორმულირება სილაბუსში.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა იკითხა, თუ დაწესებულებას გამოყენებულ ლიტერატურაში აქვს მითითებული რიდერი, მაშინ თუ არის პრობლემა?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ,ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ყველაზე კარგი პრაქტიკა იყო, თუმცა სტუდენტს უნდა სცოდნოდა, რომ ამ ავტორის წიგნი არ უნდა მოძებნოს. არამედ რიდერი, საკითხავი მასალა. ეს უნდა იყოს შესაბამისად ფორმულირებული სილაბუსში, რადგან არ მოხდეს დეზორიენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ვერ მოახერხეს ენახათ, როგორ გამოიყურება ეს ბიბლიოთეკაში. მითითებული იყო სასწავლო მასალა, რომელშიც ასევე მითითებული იყო სილაბუსის ავტორი. ეს არის რიდერი, რომლის მხოლოდ შემდგენელი არის კონკრეტული სილაბუსის ავტორი. სილაბუსების 90% -ში ასეა მითითებული სასწავლო მასალა, საკითხავი მასალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსი როდესაც შედის ბაზაში პირდაპირ არის მიბმული ლიტერატურაზე. ყველაფერი წერია ბაზაში, თუმცა იქიდან როდესაც გადმოდის ყველა ინფორმაცია არ არის მითითებული. ტიპურად საუბარია ისეთ ლიტერატურაზე, რომელიც ბიბლიოთეკარს ტექნიკურად შეჰყავს, აღქმადობისთვის შედის ასეთი სათაურით.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა ურჩიათ, რომ ჩაწერონ ის რიდერის ან საკითხავი მასალის ავტორის სახელით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 19:10 საათზე.
სხდომა განახლდა: 19:13 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა **შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ელექტროენერგეტიკული

მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დაიხურა 19:15 საათზე.

თავჯდომარე:

ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი:

სალომე თოთიბაძე